# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 დეკემბერი 2007 №301 (3224) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ და გილოცავთ!



## სპორტულმა ჟურნალისტებმა ვთქვით: რამაზ ნოზაძე წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენია!

სარბიელელები გილოცავთ შობა-ახალწელს, გაზეთის მომდევნო ნომერი კი 2008 წლის 9 იანვარს გამოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო ფიქრები ცხრილით მორთული ნაძვის ხის ცქერისას



**ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან;**
გამოდით, გამოდით...
და თუ გამოზვალთ, ბარემ (2008 წელს) ფეხბურთზეც წამოდით...
რადგან:
პირწმინდად ქართულ სანახაობათაგან, შაკირას
კონცერტის გარდა, ეროვნულ ჩემპიონატზე უკეთესს
ბევრს ვერაფერს ნახავთ;
ფეხბურთელები გამოვლენ, დაგინახავენ, გაოცდებიან,
მაყურებელი რაღამ მოიყვანაო და თქვენი ეშხით
უფრო ჯიგრით ითამაშებენ;
კიდევ, თქვენ რომ დაგინახავენ, თამაშების
ჩამწყობებს გული რეჩხს უზამს — ოფიციალური
სტატისტიკის თანახმად,
ეგენი ცარიელი ტრიბუნების წინ
უფრო პარპაშებენ;
და თუ მაინც ჩააწყობენ, ერთად ვუსტვენთ
და გავერთობით.
თან, თუ ეცივება, გავთბებით. თუ ვერ
გავთბით, თამაშის შემდეგ ვიტყვით,
ვახ, მაინც როგორ ცივა, მოდი,
გასათბობად რამე მოვიფიქროთო
და... ჩვენც ეგ არ გვინდა?
რომ დაგინახავენ ტელევიზიები,
იფიქრებენ, რეპორტაჟების და
სიუჟეტების დროს კადრში
სამოვრების გამოჩენას ეს
პატიოსანი ხალხი გამოვაჩინოთო
და კამერებს ისე დააყენებენ,
სტადიონის ტრიბუნიანი
მხარე რომ გამოჩნდეს;
ტელევიზორში ტრიბუნა რომ გამოჩნდება, ატომური
ყუმბარების მწარმოებელი ფირმა „ჯაჭვური რეაქცია 2000“
იფიქრებს, აქ ჩემი რეკლამა მოუხდებაო და
წითელ-ყვითელ პლაკატს მოიფიქრებს;
„ჯაჭვური რეაქცია 2000“-ს მიჰბაძავენ წვენების,
საჭმლის, გრეხილი ავეჯის და სხვა პროდუქციის
მწარმოებელი ფირმები. ისინი თავიანთი დაფების
გამოსაფენად ფულს გადაიხდიან;
ამ ფულით ჩვენი გუნდები ჯერ საუკეთესო
ქართველ ფეხბურთელებს დაამაგრებენ
საქართველოში, შემდეგ
კი კრიშტიანუ რონალდუსაც ჩამოიყვანენ;
რონალდუ იტყვის, მე ამ მოედანზე ვერ ვირბენ,
ფეხი ორმოში ჩამივარდებაო და რეკლამებით
შემოსული ფულით მოედნებსაც დააგებენ;
ამის შემყურე სტადიონის გვერდით
მაცხოვრებელი ლუიზა დეიდა კარგ
ხაჭაპურს გამოაცხობს (ისეთს კი არა,
ახლა რომ აცხობს) და გაყიდის;
ჩვენ ხაჭაპურებს შევჭამთ და შიმშილის
გრძნობას მოვიკლავთ. მაძღრებს
გაგვიხარდება და
მსაჯებს აღარ შევაგინებთ;
მერე ჩვენი რომელიმე გუნდი
უეფას თასს აიღებს.
ამით გახარებულები
შემდეგ არჩევნებზე
ერთმანეთს არ დავერევით და:
**ფიფქები ცვივა და**
**ფიფქები მღერიან...**

# ქართული ფეხბურთის და ჟურნალისტიკის სამხიარულო ამბები

რედაქტორთა კალმები ულმობელია: საჰედლაინო ფრაზებს ჩეხავს. თუმცა ხანდახან მათაც გამოეპარებათ ხოლმე რაღაცები და თუ არ გამოეპარათ, მიაგნეს და ამოშალეს, ის სასაცილო თუ უაზრო ფრაზა გონებაში ხომ მაინც რჩება. ეს ის ფრაზებია, დრო და დრო ჟურნალისტები ერთმანეთში ხალისით რომ ვიხსენებთ. ჰოდა, რაკი „სარბიელის" დღევანდელი ნომერი საახალწლოა, გვინდა, რომ ჩვენი კურიოზებით ჩვენი მკითხველიც გავახალისოთ. ქვემოთ გახსენებული ამბების უმეტესობა თავად ჩვენ, სარბიელელებს გადაგვხდენია, რამდენიმე კი ჩვენი კოლეგებისაა სხვა გაზეთებიდან...

–წლების წინ ერთმა ჩვენმა ყოფილმა თანამშრომელმა დაწერა: იაპ სტამს მატჩის მსვლელობისას შარდის ანალიზი აულესო...

*როგორ წარმოგიდგენიათ? კოლმიანი ექიმი ფეხბურთელს ეძახის, ისიც აუტის ხაზთან მიირბენს, მოშარდავს და თამაშს აგრძელებს.*

–ესაც ძველი ამბავია: წერილი ასეთი წინადადებით იწყება — დინო ძოფი იტალიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. მეორე წინადადება კი ასე იწყება — დინო ძოფის შესაძლო დანიშვნა...

*სახტად დარჩენილი რედაქტორის კითხვაზე კი ჟურნალისტმა უპასუხა, „როიტერზე" რაღაც გაურკვევლად ეწერა, კარგად ვერ გავიგე, ძოფი უკვე დანიშნეს თუ დანიშვნას უპირებენო და წერილშიც ორივე ვარიანტი ჩავწერეო.*

–კიდევ ერთი ძველი ამბავი. კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჩვენმა ჟურნალისტმა დაწერა: იაპონია და გამოგონებები ისეთივე განუყოფელი ცნებებია, როგორიც... და რაკი უკეთესი ვერაფერი მოიგონა, ასეთი შედარება მოიყვანა... როგორც საქართველოს პარლამენტი და ირმა ნადირაშვილიო...

*გეხსომებათ, ირმა ნადირაშვილი „რუსთავი 2"-ის კორესპონდენტი იყო პარლამენტში.*

...ასეთი რამეც დაწერილა: წყალბურთელმა მიხეილ გიორგაძემ 19 წლისამ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურიო...

...ჩვენს ჟურნალისტთან ინტერვიუში ფეხბურთელი ამბობს: პეტარ სეგრტი შეხვდა ჩემი კლუბის ექიმებს, ყველაფერი გამოჰკითხა და მკურნალობის პროცესი დააჩქარებინაო...

*ვერაფერს იტყვი: მშვენიერი მწვრთნელი... უკაცრავად, მშვენიერი ექიმი ყოფილა ბატონი სეგრტი.*

...ამ სტრიქონების ავტორს კი ერთხელ ფერნანდო იერო ფერნანდო რედონდოში აერია და „მილანში" გადაიყვანა...

–ერთმა ჩვენმა ჟურნალისტმა ნაკრების ვარჯიშის შემდეგ დაწერა: სწორედ კვადრატისას გამოიკვეთა, როგორი შემადგენლობის დაყენებას აპირებს კლაუს ტოპმიოლერი ლიტველების წინააღმდეგ...

*რამდენიმე ამბავს პრესკონფერენციებიდანაც გავიხსენებთ, ჩვენს კოლეგებს რომ შეემთხვათ...*

...იტალიასთან გენუური მატჩის მერე ჟურნალისტმა რობერტო დონადონის ჰკითხა, ქართველი ფეხბურთელებიდან იტალიის ნაკრებში ვის აიყვანდითო.

*დონადონიმ პირი დააღო.*

–უარესად დააღო პირი პოლონური „გკს ბელხატუვის" მთავარმა მწვრთნელმა ორესტ ლენჩიკმა. უეფას თასზე „ამერთან" თბილისური მატჩის მერე ჟურნალისტმა კითხვა ასეთი სიტყვებით დაიწყო: ჩიტმა ამბავი მოგვიტანა...

*ჯერ ხომ თარჯიმანი დაიბნა, ამ ქართული გამოთქმის პოლონური შესატყვისი ვერ მოიგონა და სიტყვა-სიტყვით გადათარგმნა: პტაშკამ ვესტოჩკა მოუტანა ჟურნალისტსო. მწვრთნელმა ხომ სულ ვერ გაიგო და... ქართულ-პოლონურ ძმობაზე ილაპარაკა.*

–იგივე თემაა: ალენ ჟირესის მწვრთნელობისას ჟურნალისტმა ფრანგს ჰკითხა, ხომ არ თვლით, რომ თქვენი გუნდის შანსებმა ჩაილურის წყალი დალიაო...

*თარჯიმანი ამჯერადაც საცოდავი სანახავი იყო.*

...სხვა ტიპის კურიოზებიც გვახსენდება. ერთხელ ღამის 3-4 საათზე რედაქციიდან სტამბაში გაზეთის მაკეტის მისატანად რომ წავედით, ადგილზე მისულებმა აღმოვაჩინეთ, რომ მაკეტი... რედაქციაში დაგვრჩენოდა...

–ეს ამბავი კი ჩვენს ფოტოგრაფს გადახდა ბაქოში მივლინებით ყოფნისას. ქუჩაში პოლიციელმა ჰკითხა, „შენი დედა..." რას ნიშნავსო.

...ისევ მივლინებათა სერიიდან. ჩვენი ჟურნალისტი მალტაში იყო, საქართველოს ნაკრები ტურნირში მონაწილეობდა. ერთ-ერთ ვარჯიშზე ჟურნალისტი ვიღაც უცხოელს მიუჯდა გვერდით. გამოელაპარაკნენ, ერთმანეთი გაიცნეს. უცხოელმა უთხრა, ყარაულად ვმუშაობო. ვარჯიშის დამთავრების მერე ვლადიმერ გუცაევმა ჰკითხა ჟურნალისტს, რა გითხრა იმანო. ყარაულს რა უნდა ეთქვა?! ყარაული კი არა, ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელი იყო, ნილს სემბიო...

*გაგრძელება გაისად ამ დროს იქნება.*

**კოტე კეკელია**

**ქუთაისის** „ტორპედოს" ამჟამინდელი მწვრთნელი დავით ჯანაშია ადრე, როცა ნაკრებში გამოიძახეს, ერთ-ერთ ვარჯიშზე ორთაბრძოლისას წაიქცა. წამქცევი თავზე დაადგა და ეუბნება, ადექი, ჯარიმა არ არის, არ მიუხეშიაო...

— აპა, მე წნევამ დამარტყა?! — ქუთაისურად შეუბრუნა ჯანაშიამ.

**„ბორჯომის"** ერთ-ერთი ფეხბურთელი მატჩისას მსაჯს დასდევდა, კაცურად, ყვითელი ბარათი მომეცი, ერთი თამაშის გამოტოვება მინდა, რათა მერე პრინციპული მატჩი ვითამაშოო.

მსაჯმა უთხრა, რამე გააკეთე, იუხეშე, აბა, ასე, უაზროდ როგორ მოგცეო...

ფეხბურთელს ბოლო წუთებზეღა გაახსენდა ყვითლის ამბავი, მიადგა გვედით მსაჯს და შეაგინა. მსაჯმა კი ეგრევე წითელი ბარათი მისცა და... ორი თამაში გამოატოვებინა...

**„ამერის"** ერთ-ერთმა ფეხბურთელმა უცხოურ შეკრებაზე ბავშვისთვის ბოტასები იყიდა. თანაგუნდელი ეკითხება, რამდენი მიეციო.

— 50 ევრო.

— ცალში?

**„ამერმა"** „მერანს" 7:0 რომ მოუგო, მესამე თუ მეოთხე გოლისას ამერელმა მიხეილ მესხმა მოზეიმე თანაგუნდელებს შეუძახა — არა უშავს, ბიჭებო, არა უშავს, ასე გავაგრძელოთო.

**ბოლნისის** „სიონში" რომ სამი კუნაპეტივით შავი კამერუნელი თამაშობს, გეცოდინებათ. მათ რომ ქართული ისწავლეს, ესეც არახალია. მათგან ორნი, ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ ჩასემი, კლუბის ხელმძღვანელობასთან შესულან, დავალიანება ჰქონიათ და კრედიტი გამოუტანეს.

ცოტა ხანში მესამე კამერუნელი, გასტონ [illegible] შევიდა ანალოგიური თხოვნით, [illegible] ევორჩეც გაბრაზებულა და „ჩაუქართულებია": კი, მაგრამ, იმათ თუ მიეცით, მე რა, ზანგი ვარ?..

**ალექსანდრე** ჩივაძემ ნაკრებში მწვრთნელობისას, ერთ-ერთი მატჩის წინ ბოლო დავალება მისცა გუნდს და ბიჭებს შეეკითხა — ახლა ხომ იცით, რაცაა ჩვენი კოზირიო.

— ჩვენ ყოველთვის „ბეზკოზირა" ვთამაშობთო — უპასუხა გოჩა ჯამარაულმა.

**ჩვენს** კოლეგას, ცნობილ ტელეწამყვან დიმა ობოლაძეს რეპორტაჟების დროს კურიოზები ნამდვილად არ აკლია. ალბათ მის კარიერაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ფეხბურთელის გვარი არ „შეშლია" და ეს პატივი თემურ ქეცბაიას სცა.

ქეცბაიას გაცილებაზე საქართველოდან ყოფილ თანაგუნდელებთან ერთად, რეპორტაჟის წასაყვანად დიმაც იყო მიწვეული. „ქეცბას" ქართველ, კვიპროსელ და ინგლისელ თანაგუნდელებს მაისურებზე 14 ნომერი და ქეცბაია ეწერათ. თემური დიმას მიუბრუნდა და უთხრა: საშენო რეპორტაჟია, ფეხბურთელები ნამდვილად არ აგერევაო.

**გაჭირვების** პერიოდია, ჭიათურის „მაღაროელის" ფეხბურთელები თვეობით ვერ იღებდნენ ხელფასს და გასახდელში წუწუნებდნენ: კარაქი ველარ გვიყიდიაო...

ამ დროს ერთი ფეხბურთელი საშხაპიდან გამოვიდა და გვერდით მდგომს ჩაულაპარაკა — რა კარაქზე საუბრობთ, რა, კიდევ გამოდისო?!


ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით

ქალაქის ტელეფონიდან: 20 0611

მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი

# არასაქმიანი ინტერვიუ

## უჩა უგულავა: 2007 წლის სარბიელის ყველაზე საქმიანი რესპონდენტი

**წლის „სარბიელები" რომ გადავათვალიეროთ, დიდი ეჭვი გვაქვს, ყველაზე ხშირი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა იყო. ხოლო როდესაც ახალ წლამდე რამდენიმე დღეღა რჩება, რესპონდენტს არასპორტულ თემებზეც უნდა დაელაპარაკო. ერთი სიტყვით, ჩვენი საახალწლო ნომრის სტუმარი უჩა უგულავა გახლავთ და საუბრის თემა საქმიანი ნაკლებად არის...**



[illegible]ის ფოტო

— მოდით, თავდაპირველად თვალი გადავავლოთ 2007 წელს. რას იტყვით, რაც დაგეგმილი იყო, ყველაფერი გაკეთდა?

— რაც გავაკეთეთ, გავაკეთეთ, მაგრამ ზოგადად, რომ არა ხელისშემშლელი ფაქტორები, ალბათ მეტს შევძლებდით. მთავარი და ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომ უკვე დამტკიცდა ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რისი საშუალებითაც ჩვენს ფეხბურთს უკვე სხვა განზომილებით შევიძლია შევხედოთ. ამ პროგრამას საფუძვლად დაედო ფეხბურთის ფედერაციისა და აუდიტორული ფირმა FMMI-ის ერთობლივი დასკვნა, რომელშიც ყველაფერზე დეტალურად იყო მოთხრობილი. სახელმწიფო პროგრამა კი, ცხადია, დიდი ბიძგი იქნება ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის, ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებისთვის. სწორედ ამ პროგრამის მეშვეობით შეიქმნება ჩვენი ჩემპიონატისთვის დამატებითი პრემიალური ფონდი... წლეულს პროფლიგამ და ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტელეუფლებები გაყიდეს და ესეც გარკვეულ შემოსავალს მოგვიტანს. 2007 წელს წარმატებით გაგრძელდა საკლუბო ლიცენზირების პროგრამა, გაისად კი საგანგებოდ ამ საქმისთვის ფიფას ინსტრუქტორები ჩამოვლენ და სასწავლო კურსებს ჩაატარებენ... წლეულს დავგეგმეთ და გაისად უკვე ამოქმედდება ჭაბურღილების პროგრამაც, რაც კლუბებს საშუალებას მისცემს, წყლის ხარჯები მაქსიმალურად შეამცირონ. წლეულს ასევე შევიმუშავეთ ტალანტების აღმოჩენის პროგრამა, რაც გაისად კიდევ უფრო დაიხვეწება. ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში, ფედერაციის ხარჯებით დამონტაჟდება განათება, რაც ფეხბურთით დაკავებულ ბავშვთა რაოდენობას ერთიორად გაზრდის, სკოლებში ასევე გაკეთდება საგარჯიშო, 45 გრადუსით დახრილი კედლები... ეროვნულ ნაკრებს წლეულს ცუდი შედეგი კი ჰქონდა, მაგრამ ამ წელიწადმა სამომავლო წარმატებების კიდევ უფრო დიდი იმედი მოგვცა. დავინახეთ, რა სარგებლობა მოაქვს ასაკობრივი ნაკრებების ხშირ შეხვედრებს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ეროვნულ გუნდში ის ჭაბუკები ვერ დაწინაურდებოდნენ, რომლებიც ახლა თამაშობენ. მოკლედ, წლეულს ბევრი საქმე კი გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. იმედი მაქვს, გაისად ამ დროს ჩვენს წარმატებებზე კიდევ ბევრი მექნება სალაპარაკო.

**— კეთილი. პრობლემებსა და წარმატებებზე გაისადაც მოვასწრებთ საუბარს. ახალი წელი ახლოვდება და სხვა ამბებზე ვიფიქროთ. თუ არ ვცდები, წლეულს თქვენ „სარბიელის" ყველაზე ხშირი რესპონდენტი იყავით. მკითხველს, ვფიქრობ, ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი სამსახურის მიღმაც აინტერესებს. ფეხბურთს თამაშობდით?**

— ცოტა ხანი, ექვსი თვე დავდიოდი ფეხბურთზე. თუმცა მერე ქუჩაში ხშირად ვთამაშობდი და როცა დრო მაქვს, ახლაც ვთამაშობ. რამდენიმე წლის წინ „ბენდელას" თასზეც ვითამაშე. GWS-ის გუნდში ვიყავი და ამ ტურნირზე თბილისის „დინამოსაც" კი მოვუგეთ. ისე, ფედერაციამდე სადაც ვმუშაობდი, ყველგან ვაკეთებდი გუნდს და ვთამაშობდი ხოლმე.

**— ფედერაციაში კი ამის გაკეთება აღარ დაგჭირდებოდათ...**

— სხვათა შორის, როცა კლაუს ტოპმოლერის ხელმძღვანელობით ნაკრებს ავსტრია-გერმანიაში ჰქონდა შეკრება, ფედერაციის თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა გუნდმა გერმანიის ობერლიგელ მეტოქეს მოუგო. მაშინ მეც ვითამაშე.

**— ახლა, ცხადია, თამაშებს აღარ აცდენთ. ადრე როგორ იყო?**

— სანაკრებო მატჩები არც ადრე გამიცდენია და ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზეც დავდიოდი. ხშირად ყოფილა, როცა ქუჩაში უსაქმოდ მყოფი ტრიბუნებიდან ქომაგების ხმა გაგვიგია და სტადიონზე შევსულვართ.

**— მაშინ თუ ფიქრობდით, რომ ფედერაციის გენმდივანი იქნებოდით?**

— გენმდივნობაზე არა, მაგრამ იმას კი ვფიქრობდი, რომ ვიდრე ფეხბურთს სახელმწიფო არ დაეხმარება და ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ჩვენი ფეხბურთის დონე არ ამაღლდება-მეთქი.

**— ფედერაციაში როგორ მოხვდით?**

— მეგობრის რეკომენდაციით. მან იცოდა, რომ ფეხბურთი უზომოდ მიყვარდა და ნოდარ ახალკაცს ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. იქამდე GWS-ში ვმუშაობდი...

**— –**

— გასაგებია, რისი კითხვაც გინდათ. ლევან გაჩეჩილაძესთან დღესაც ვმეგობრობ და კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მისგან განსხვავებული პოზიცია გამაჩნია.

**— ფედერაციაში როცა მიხვედით, იცოდით, სად მიდიოდით?**

— ფედერაციის მუშაობაზე ზედაპირული წარმოდგენა მქონდა, თუმცა, როცა საქმეში ღრმად ჩავიხედე, დავრწმუნდი, რომ ძალიან რთული სამუშაო მელოდა.

**— ახალ წელს სად და როგორ შეხვდებით?**

— ჯერ არ ვიცი, არ მომიფიქრებია. რამე განსაკუთრებული და ორიგინალური არაფერი იქნება... ოჯახი, მეგობრები... ახალ წელს მათთან ერთად შევხვდები.

**— ცოლშვილიანი ბრძანდებით?**

— მეუღლე და სამი შვილი მყავს. ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი.

**— ვაჟი ფეხბურთელი უნდა გამოვიდეს?**

— რა გითხრათ, ჯერ ჩოგბურთს თამაშობს და ვნახოთ, როგორ იქნება. არაფერს ვაძალებ, რაც თავად უნდა, ის გააკეთოს.

**— ვიდრე ფედერაციაში დაიწყებდით მუშაობას, ჟურნალისტებთან გქონდათ ასეთი ხშირი კონტაქტი?**

— არა, ჟურნალისტებთან არანაირი შეხება არ მქონდა.

**— ახლა კი, ალბათ, „დაგტანჯეთ"...**

— არა, მესმის, რომ თქვენს საქმეს აკეთებთ და მეც ვცდილობ, ყოველთვის ამომწურავი პასუხი გაგცეთ... თუმცა, სიმართლე გითხრათ, ხანდახან ცოტა ვიღლები კიდეც ერთიდაიმავე კითხვის მოსმენით და პასუხის გამეორებით. ხანდახან კი ისეც ხდება, ჩემს ინტერვიუში ისეთ რამეებს ვკითხულობ, ის სიტყვები ცხოვრებაში რომ არ მითქვამს. თუმცა, ესეც არაფერი...

**— ნაკრების ფეხბურთელებთან ოფიციალური ურთიერთობა გაქვთ თუ მეგობრული?**

— მეგობრული. მაგალითად, ალექსანდრე იაშვილს ბავშვობიდან ვიცნობ, ალეკო რეხვიაშვილი კი, სულაც ჩემი თანაკლასელი იყო. სხვა ფეხბურთელები კი ნელ-ნელა გავიცანი და კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

— პოკერსა და პრეფერანსს ვთამაშობ ხოლმე. ამ დღეებში კი ექვსი საათი ნარდის ხეს ვაწყობდი... კომპიუტერითაც ვერთობი.

**— ფეხბურთს აღარ თამაშობთ?**

— როგორ არა... საფრანგეთში სანაკრებო მატჩისას, თუ გახსოვთ, ჩვენს ნაკრებს სათადარიგოდ სულ სამი ფეხბურთელი ჰყავდა და კლაუს ტოპმოლერს გავეხუმრე, კიდევ ისეთ ფორმაში ვარ, სათადარიგოთა შორის ხომ არ გამოგადგებით-მეთქი.

**— უცხოეთში ხშირად ხართ ხოლმე. მოგვიყვებით სახალისო ამბებს?**

— ფიფას კონგრესზე ვიყავით და უკან გზაზე ისე მოხდა, რომ რამდენიმე დელეგაციას ერთი თვითმფრინავით უნდა გვემგზავრა. საბაჟო კონტროლსაც ერთად მივადექით. ჩვენს წინ ერთი დელეგაციის წარმომადგენლები გადიოდნენ, მაგრამ მებაჟე ერთ-ერთს არ ატარებდა, ჩანთაში რაღაც უცნაური ნივთები გაქვთო. მგზავრს კი თავი ისე უჭირავს, თითქოს არაფერი ესმის. ბოლოს, როგორც იქნა, გახსნა ჩანთა და წვერის საპარსი ამოიღო. ეს არა, კიდევ გაქვთ რაღაცებიო, უთხრა მებაჟემ. კაცი შეიმუშნა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ, რა გზა იყო, ნივთები უნდა ამოელაგებინა... და ამოალაგა. დაახლოებით, 20 ცალი საწერი კალამი, რომლებიც სასტუმროდან წაეღო, სადაც ყველა ერთად ვცხოვრობდით. წარმოიდგინეთ, იმ ვითარებაში იმ კაცის მდგომარეობა. გაშრა, გაწითლდა...

ამ სახალისო ამბების მოყოლისას ერთსაც გავიხსენებ. ადრე ნაკრების მწვრთნელებთან ერთად წვეულებაზე ვიყავით. კლაუს ტოპმოლერი სკამიდან წამოხტა და რომელიღაც ქართულ მელოდიაზე ცეკვა დაიწყო. ცეკვავდა, მაგრამ რიტმს ფეხი ვერ აუწყო, უცნაურად გამოდიოდა, თუმცა ცდილობდა, რომ ტრადიციულ-ქართულად ეცეკვა. ვფიქრობ, ასეთი ცეკვა სად ისწავლა-მეთქი და პასუხი ამ რამდენიმე დღის წინ, ვლადიმერ ვლოშვილის იუბილისადმი მიძღვნილი ქეიფისას მივიღე — ნაკრების ექიმმა ანზორ გაბიტაშვილმაც ზუსტად ისე იცეკვა.

**— ნაკრების მწვრთნელებს შობა მიულოცეთ?**

— ცხადია. მესიჯები გავუგზავნე, წარმატებები ვუსურვე. წარმატებას გისურვებთ თქვენც, ქომაგებს და მთელ ქვეყანას. წარმატების ახალი წელი ყოფილიყოს და ვისურვებ, რომ მომავალში საქართველოს ნაკრებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ეთამაშოს და იქ მიეღწიოს სანუკვარი გამარჯვებისთვის.

**კობა ინასარიძე**



ახალ წელს ყველა თავისებურად აღნიშნავს, საერთო კი ყველას თითქმის ერთი აქვს — ნაძვის ხე. ზოგი ახალ წელს ქუჩაში სეირნობით ხვდება, ზოგან ძველ ნივთებს ყრიან ფანჯრიდან, რათა ცუდი ძველ წელს გაატანონ... საქართველო ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ყველა ოჯახში ჭიქა ღვინო მაინც ივსება და სრულიად საქართველოს სადღეგრძელო ისმება.
საინტერესოა, როგორ ხვდებიან ახალ წელს სპორტსმენები და რის უფლებას აძლევენ თავს ამ დღეს...
სასაუბროდ „სარბიელის" მიერ საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული დინამოელი გიორგი მერებაშვილი ავარჩიეთ...

# გიორგი მერებაშვილი: ბარაქისა და ღიმილის წელი ყოფილიყოს!

— რას ელის გიორგი მერებაშვილი ახალ წელს?

— ყოველთვის მიხარია ახალი წლის მოსვლა. ისეთი განცდა მეუფლება, რომ ეს იქნება ახალი იმედების და წარმატებების წელი. მინდა, რომ მომავალ ახალ წელს ყველაფერი კარგი მოხდეს...

— ყველაზე გამორჩეული სურვილი რა გექნება?

— პირველ რიგში, „დინამოსთან" ერთად მინდა მივაღწიო დიდ წარმატებას, როგორც საქართველოს ჩემპიონატში, ისე ევროთასებზე.

— სად შეხვდები ახალ წელს?

— ჯერ, რა თქმა უნდა, აუცილებლად ოჯახში, შემდეგ კი მეგობრებთან ერთად.

— მუდამ რეჟიმში მყოფი საახალწლო სუფრასთან როგორ ხარ?

— განსაკუთრებით ტკბილეული მიყვარს და უზომოდ მივირთმევ. ალკოჰოლს არ ვეკარები, დავილოცები და, შესაძლოა, ერთი ჭიქა დავლიო.

— ყველანაირი ტკბილეული გიყვარს თუ გამორჩეულად რომელიმე?

— ყველანაირი, თუმც საახალწლოდ გოზინაყს არაფერი შეედრება.

— გამორჩეული კერძი არ გაქვს?

— ბაჟე მიყვარს ძალიან, მხოლოდ ქათმის.

— შენი პირველი ახალი წელი, რომელიც დაგამახსოვრდა...

— ზუსტად წელს ვერ გეტყვი, ბუნდოვნად მახსოვს... პატარა ვიყავი და მშობლები მეუბნებოდნენ, რომ თოვლის ბაბუა კარზე დამიკაკუნებდა და საჩუქრებს მომიტანდა. მეც მოუთმენლად ველოდი მის მოსვლას...

— ესე იგი, გჯეროდა, რომ თოვლის ბაბუა არსებობდა...

— კი, რა თქმა უნდა.

— ნაძვის ხის მორთვა გიყვარს?

— ბავშვობაში მეც ვეხმარებოდი უფროსებს, ახლა კი მშობლები აწყობენ.

— ყველაზე გამორჩეული ახალი წელი თუ გქონდა?

— 2003 წელი. მაშინ „დინამო 3"-ში ამიყვანეს და ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. მართალია, მესამე გუნდი იყო, მაგრამ „დინამო" ხომ ერქვა. ეს იყო ჩემი სურვილის თუ ოცნების დასაწყისი.

— რას უსურვებდი ქართველ ხალხს საახალწლოდ?

— მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო ახალი წელი. ბედნიერების, სიხარულის და გამთლიანების წელი ყოფილიყოს! ყველა ქართველის ოჯახს ბარაქა ნუ მოშლოდეს და ყველა ქართველის სახეზე ნათელი ღიმილი დამენახოს!

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თითქმის: ხიზანიშვილი და ახალი ბლექბერნი




**ლონდონის** „ჩელსისთან" შესანიშნავი თამაშის შემდეგ „ბლექბერნის" ძირითადში დაბრუნებული ზურაბ ხიზანიშვილი ერთ-ერთი პოპულარული ფიგურა გახდა პრემიერლიგაში და, დღე არ გავა, მასთან იქაურმა ჟურნალისტებმა არ ისაუბრონ.

იმის მიუხედავად, რომ ხიზანიშვილის ძირითადში გამოჩენა უიშვიათეს მოვლენად იქცა, მაინც აპირებს „ბლექბერნთან" კონტრაქტის გაგრძელებას და იმედი აქვს, „ჩელსისთან" კარგი თამაშის შემდეგ ძირითადში ადგილს დაიბრუნებს.

„რამდენიმე დღეა, კლუბთან მოლაპარაკება დავიწყე, რომელიც ისეთ სტადიაშია, რომ „ბლექბერნთან" მალე ახალ, ხანგრძლივ კონტრაქტს გავაფორმებ და ეს ჩემი სურვილია, მინდა, აქ ვითამაშო" — განაცხადა ზურამ.

„ეს ფეხბურთია. მას ბედნიერებაც მოაქვს და გაწბილებაც. ჯერ არ მინახავს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც სათადარიგოთა სკამზე ჯდომით ბედნიერია, მაგრამ მთავარია, პროფესიონალი იყო. ყველას სურს თამაში, გამონაკლისი არც მე ვარ და მაშინ, როდესაც მოედანზე გავდივარ, ყველაფერს ვაკეთებ გუნდისთვის" — დასძინა ქართველმა მცველმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თარხნიშვილი სახალხოა

**ტირასპოლის** „შერიფის" გულშემატკივრებმა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად ქართველი კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი დაასახელეს.

თარხნიშვილს გამოკითხულთა 25,6-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი.

ვეტერანი ქართველი მცველისთვის ეს უკვე მესამე ტიტულია 2007 წელს — გულშემატკივრებმა ცოტა ხნის წინ ის „შერიფის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციამ კი 2007 წლის საუკეთესო მცველად დაასახელა.

**კახა ზალამბერიძე**

# დავით თარგამაძე: მთავარია, მთავარ გუნდში გადავიდე

საქართველომ წლეულს 19-წლამდელთა ევროპის შესარჩევ მატჩებს უმასპინძლა და ჩვენებისგან ვინც გამოირჩეოდა, ერთ-ერთი ასეთი იშვიათი დავით თარგამაძე იყო. იგი „ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდშიც ყოჩაღობს და გერმანელი სპეციალისტების ყურადღებასაც იპყრობს. თარგამაძე ახლა თბილისშია და ჩვენც ინტერვიუ ვთხოვეთ...



— საქართველოში 20 დეკემბერს ჩამოვედი. ახალ წელს აქ შევხვდები და 7 იანვარს წავალ გერმანიაში.

— „ფრაიბურგის" ახალგაზრდულ გუნდში სტაბილურად თამაშობ. რას იტყვი იქაურ სიტუაციაზე?

— პირველ წრეში მეორე ადგილზე გავედით. ჩემპიონატის თამაშებში გოლი არ გამიტანია, თასზე კი 3 გავიტანე. უკმაყოფილო არ ვარ.

— „ფრაიბურგის" ძირითად გუნდშიც ხომ არ გიწევს ვარჯიში?

— ჯერ ასეთი რამ არ ყოფილა, მაგრამ როგორც გუნდის მწვრთნელმა კრისტიან სტრიშმა მითხრა, ხელმძღვანელობას ჩემი თამაში ძალიან მოსწონს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, მალე გადამიყვანონ. ყველაფერი ღვთის ნებაა და ვნახოთ, რა იქნება.

— ოთარ ხიზანეიშვილთან გაქვს ურთიერთობა...

— რა თქმა უნდა, მე და ოთარი ვმეგობრობთ და თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს.

— მთლიანობაში როგორ იყო შენთვის 2007 წელი?

— ჩემთვის წარმატებული წელი იყო. „ფრაიბურგის" ახალგაზრდული გუნდი მეორე ადგილზეა, ასაკობრივ ნაკრებებში ვითამაშე და პეტარ სეგრტმა ახალგაზრდულშიც მიხმო. ჩემთვის ეს დიდი ბედნიერება იყო.

— თქმა არ უნდა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშზეც ოცნებობ...

— ჩემი უპირველესი მიზანი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშია და ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ეს სანუკვარი ოცნება ავისრულო...

— შენი ოცნების კლუბი რომელია?

— საერთოდ, ინგლისური ფეხბურთი მხიბლავს. საუკეთესო გუნდად „მანჩესტერ იუნაიტედს" მივიჩნევ.

— მალე 2008 წელი დადგება, რასაც წინასწარ გილოცავ. რას უსურვებ მომავალ წელს ქართულ ფეხბურთს?

— უპირველეს ყოვლისა, ქართულ ფეხბურთში დასაქმებულ ხალხს ვუსურვებ ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას და ჩვენც ქართული ფეხბურთის საქმე სასიკეთოდ გვეკეთებინოს... სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს და ყველას ბედნიერებას გისურვებთ!

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაილანდელი ერის საჩუქარი



სვენ-გორან ერიკსონი და ტაქსინ შინავატრა

**არ ვიცით,** ეს ამბავი საქართველოში ვინმეს ეხება თუ არა, მაგრამ ზოგადად, „მანჩესტერ სიტის“ ქომაგებს საქმე მოსალოცად აქვთ: სვენ-გორან ერიკსონმა საახალწლო-სატრანსფერო ბაზრის გახსნის წინ დიდძალი ფული იშოვნა, რისთვისაც საგანგებო მადლობა ტაილანდელ ხალხს უნდა გადაუხადოს. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, ტაილანდში საერთო სახალხო არჩევნები ჩატარდა და „მანჩესტერ სიტის“ მეპატრონისა და თავმჯდომარის, ტაქსინ შინავატრას „სახალხო ძალაუფლების“ პარტიამ გაიმარჯვა. რას ნიშნავს ეს? ბევრ რამეს, ფეხბურთის მოყვარულთათვის კი იმას, რომ შინავატრა წინა ხელისუფლების „დაპატიმრებულ“ 800 მილიონ გირვანქას დაიბრუნებს და ერიკსონი, სავარაუდოდ, პრემიერლიგის ყველაზე დიდპორტმანიანი მყიდველი გახდება.

რაკილა ფინანსების ამბავი გავარკვიეთ, ახლა გავიხსენოთ, ვისი ყიდვა აქვს შვედ მწვრთნელს გულში ამოჭრილი. უპირველეს ყოვლისა, „ბოლტონის“ ფრანგი თავდამსხმელის ნიკოლა ანელკასი, თუმცა ვაი, რომ ფრანგის ყიდვა შინავატრაზე მდიდარი კაცის, რუსი რომან აბრამოვიჩის ლონდონურ კლუბს, „ჩელსისაც“ სურს, რაც დიდ კონკურენციასა და ვაჭრობას მოასწავებს. შეგახსენებთ, რომ ანელკა „რეალიდან“ და „არსენალიდან“ წამოსვლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის სივრციდან დაკარგულია, აი, „ჩელსი“ კი იქ დაბრუნების საშუალებას მისცემს, რასაც მანჩესტერელებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. ერთი სიტყვით, ინგლისელი ჟურნალისტების ვარაუდით, ანელკას უმალ „სტემფორდ ბრიჯზე“ ვიხილავთ, ვიდრე „ისტლენდზე“ — ხშირად ასე უწოდებენ City of Manchester Stadium-ს, სადაც „ქალაქელები“ 2003 წლიდან გამოდიან.

და თუ ანელკას გადაბირების საქმიდან არაფერი გამოვიდა, ერიკსონი თავს იმით დაიმშვიდებს, რომ დონეცკის „შახტარიდან“ მექსიკელი ნერი კასტილიო წამოიყვანა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ შვედის მიერ ჩამოწერილ საახალწლო საყიდლების სიას. „ლივერპულში“ მოთამაშე არგენტინელი ხავიერ მასკერანო იქ დიდი ასოებით წერია. ცნობილია: მასკერანოს ინგლისში გადაბარგების საქმე იმთავითვე ჩაიხლართა და იოლად არც ახლაა. თუკი „ლივერპულს“ მისი მუდმივმოქმედი კონტრაქტით დატოვება სურს, 17 მილიონი გირვანქის გადახდა კიდევ მოუწევს, რაც პატარა თანხა არ არის, „სიტი“ კი ჯიბეზე ხელის გასაკრავად მზადაა. გამოდის, რომ რაფა ბენიტესსა და სვენ-გორან ერიკსონს შორის კონკურენცია გარდაუვალია და ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის ბენიტესს თავისი ამერიკელი დამქირავებლების კიდევ ერთხელ შეწუხება მოუწევს — „ლივერპულის“ მეპატრონეები საფულის გახსნის გარეშე მასკერანოს ვერ შეინარჩუნებენ.

აი, „არსენალის“ მეკარე იენს ლემანი კი „მეთოფეებმა“ ისე გააბრაზეს რომ „მანჩესტერ სიტის“ შეთავაზებას, ალბათ, დათანხმდება. იმას, რომ „არესენალის“ ძირითადში გერმანელს ადგილი ესპანელმა მანუელ ალმუნიამ წაართვა, აქ აღარ გავიმეორებთ. ეს ამბავი იმდენჯერ გვაქვს მოყოლილი, რომ ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ამბობენ, რომ ლემანის წასვლის შემდეგ ლონდონელები ალმუნიას შემცვლელად „ასტონ ვილას“ მეკარეს ტომას სიორენსენს დასვამენ. ცნობისათვის: ლემანისა არ იყოს, სიორენსენმა ბირმინგემის გუნდში დაკარგა ადგილი ძელებს შორის.

„სიტი“ კი „სიტია“, მაგრამ ქალაქ მანჩესტერში არის მეორე გუნდიც, მასზე პოპულარული „იუნაიტედი“, რომელიც, როგორც ამბობენ, ამ ახალ წლებზე „გლაზგო რეინჯერსიდან“ მარჯვენა მცველს ალან ჰატონს უპირებს გადაბირებას. ჰატონის მიყვანა ალექს ფერგიუსონს იმიტომ უნდა, რომ გარი ნევილი ძველებურად დაშავებულია, ვეს ბრაუნს კი სეზონის ბოლოს კონტრაქტის ვადა ეწურება.

**ბაჩუნა კედია**



მიროსლავ ჯუკიჩი

# სერბეთი — ჯუკიჩს, პარტიზანი — იოკანოვიჩს

**იუგოსლავიის** ნაკრების ყოფილი მცველი მიროსლავ ჯუკიჩი სერბეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა. მან ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და საქმიანობას ოფიციალურად ახალი წლიდან შეუდგება.

41 წლის ჯუკიჩი აქამდე სერბეთის 21-წლამდელთა ნაკრებს და ბელგრადის „პარტიზანს“ თავკაცობდა. 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე გასულ ნაკრებსაც ეს სპეციალისტი გაწვრთნის. მან სერბეთის ნაკრების თავკაცის პოსტზე ხავიერ კლემენტე შეცვალა, რომელიც თვის დასაწყისში მოხსნეს, რადგან გუნდი ევრო 2008-ზე ვერ გაიყვანა.

„მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ნაკრები მიროსლავ ჯუკიჩს ჩავაბაროთ და გვჯერა, რომ სერბეთი გამარჯვების გზებს დაუბრუნდება. კონტრაქტი ექვსი თვით ავტომატურად გახანგრძლივდება, თუ ნაკრები 2010 წელს სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა“ — თქვა სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ალექსანდარ ბოშკოვიჩმა.

„სიმართლე გითხრათ, წინაამდეგი არ ვიყავი, რომ ხავიერ კლემენტე დარჩენილიყო, მაგრამ ჩვენ მტკიცე ხასიათის, ენთუზიაზმით და შემართებით აღსავსე მწვრთნელი გვჭირდებოდა და მიროსლავ ჯუკიჩი სწორედ ასეთია“ — განაცხადა სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვეზდან ტერზიჩმა.

მიროსლავ ჯუკიჩი: „ჩემთვის დიდი პატივია ამ პოსტზე მოსვლა და ყველაფერს გავაკეთებ, რათა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოვხვდეთ. ეს მისია ადვილი შესასრულებელი არ იქნება, მაგრამ ჩვენ გვაქვს საჭირო კლასი და ისტორია, რათა ამოცანას თავი გავართვათ და სერბეთი იმ ადგილზე დავაბრუნოთ, რომელსაც იმსახურებს. აუცილებელია, რომ ვითამაშოთ აგრესიული ფეხბურთი და ჩვენი ნიჭი მაქსიმალურად გამოვავლინოთ. ამისთვის გვესაჭიროება ახალგაზრდები, რომლებიც მთელი გულით მოუსმენენ ნაკრების ჰიმნს და მინდორზე სერბეთისთვის ბოლომდე შემართებით დაიხარჯებიან“.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე სერბეთი მე-7 ჯგუფში საფრანგეთთან, რუმინეთთან, ავსტრიასთან, ლიტვასთან და ფარერებთან ერთად მოხვდა.

იმის გამო, რომ ნაკრებისგან წინადადება მიიღო, ჯუკიჩი სერბეთის ჩემპიონატის ამჟამინდელ ლიდერი „პარტიზანის“ მწვრთნელის პოსტიდან რამდენიმე დღის წინ გადადგა. უკვე გაირკვა მისი შემცვლელის ვინაობაც. ბელგრადული კლუბი იუგოსლავიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა და ჯუკიჩის დარად, საკმაოდ წარმატებული სათამაშო კარიერის მქონე 39 წლის სლავიშა იოკანოვიჩმა ჩაიბარა.

„გვჯერა, რომ იოკანოვიჩი კლუბს წარმატებას მოუტანს და „პარტიზანი“ სწორი გზით სიარულს განაგრძობს. დირექტორთა საბჭოს ყველა წევრი, ერთის გარდა, მისი მომხრე გახლდათ“ — აღნიშნა ბელგრადელთა პრეზიდენტმა ტომისლავ კარაჯიჩმა.

**გიორგი კაკაბაძე**

## მილანი და აისლანი

**იტალიური** „მილანი“ დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს და ერთ-ერთ კანდიდატად „სან პაულუს“ ახალგაზრდა უკანახაზელი აისლანი შეუგულებია. 19 წლის ფეხბურთელი ბოლო პერიოდში ბრაზილიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და რამდენიმე ევროპული გრანდის ყურადღებაც მიიპყრო...

## იუვე და ივანოვიჩი ჩაიშალა

**„კონტროკამპოს“** ცნობით, ტურინის „იუვენტუსი“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ და მის მცველ ბრანისლავ ივანოვიჩს ვერაფრით ვერ მოელაპარაკა და „ასტონ ვილას“ შვედ ლეგიონერ ოლაფ მელბერგზე გადაერთვებაო.

## პუიოლი მალე ჯანზე იქნება

**კატალონიური** „ბარსელონას“ კაპიტანი, რომელიც მადრიდის „რეალთან“ მატჩში დაშავდა, მძიმე ტრავმას გადაურჩა. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტური 6 იანვარს გაიმართება. „ბარსა“ „მალიორკას“ ხვდება და, სავარაუდოდ, პუიოლი ამ მატჩისთვის მზად იქნება. კატალონიელთა ექიმების თქმით, პუიოლი ვარჯიშს ერთ კვირაში განაახლებს.

**გიორგი კაკაბაძე**

# კუმანს ჟიგიჩი ყელში გაეჩხირა



ნიკოლა ჟიგიჩი

**„ვალენსიას“** „ინკვიზიტორი“ რონალდ კუმანი და „ლამურათა“ სპორტული დირექტორი მიგელ ანხელ რუისი საგონებელში ჩაცვივდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ კლუბის თავკაცობამ მწვრთნელს და სენიორ ანხელ რუისს „მესტალიადან“ დასათხოვნი ფეხბურთელების სიის წარდგენისთვის ბოლო ვადად პარასკევი დაუთქვა, დღე, როდესაც „ლამურებმა“ სავარაუდო ახალწვეულების ვინაობაც უნდა დაადგინონ. სანტიაგო კანისარესის, მიგელ ანხელ ანგულოსა და დავიდ ალბელდას ბედი უკვე გარკვეულია, მაგრამ ნიკოლა ჟიგიჩი? აი, სწორედ გიგანტი სერბი გახლავთ კუმანისა და ანხელ რუისის თავსატეხი.

რონალდ კუმანს აღმოსავლეთევროპელი ფორვარდიც „საცობიროდ“ ჰყავდა გამზადებული, მაგრამ ნიკოლა ჟიგიჩმა „ვალენსიას“ ბოლო ორ მატჩში თავი გამოიჩინა და სამი გოლი შეაგდო. ახლა რაღა უნდა უყონ ორმეტრიან სერბს? საქმე ჯერ არ გარკვეულა, წინ გადამწყვეტი პარასკევია.

**ლადო ხომერიკი**



# რაიკარდს მარტო ლიგა უწამლებს

## ბარსა ბასკს, ისევ ჰოლანდიელს ან გულს ელოდება

„ბარსელონას" თავკაცები ახალ მწვრთნელს ეძებენ. „ელ კლასიკოში" „რეალთან" „კამპ ნოუზე" წაგების შემდეგ ფრანკ რაიკარდზე ხელი ხუან ლაპორტამაც ჩაიქნია. კატალონიური გრანდის პრეზიდენტი „ბარსას" დამრიგებლის ბოლო დასაყრდენი გახლდათ, თუმც დღეს შანსი იმისა, რომ სენიორ ლაპორტა კვლავ ჰოლანდიელის დარჩენის მომხრე იქნება, პრაქტიკულად არ არსებობს.

ახალი წლის დღეებში ბარსელონელთა დირექტორატი ითათბირებს და დაადგენს, რაიკარდის დათხოვნის შემდეგ გუნდი „ესპანიოლის" ამჟამინდელ მწვრთნელ ერნესტო ვალვერდეს, ჰოლანდიის ნაკრების თავკაც მარკო ვან ბასტენს, თუ „ბარსელონა B"-ს დამრიგებელ ხოსეპ გვარდიოლას ჩააბაროს.

სავარაუდო კანდიდატთა სია მადრიდულმა „ასმა" გამოჩხრიკა, თუმცა ლედაქალაქური მედია „ბარსას" დირექტორატის ერთ-ერთი წარმომადგენლის საინტერესო ნათქვამსაც გვიმხელს: „თუ ამ სეზონში გუნდმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო, სამწვრთნელო ცვლილებები არ იქნება. სადღეისოდ კი ფრანკ რაიკარდის ვარიანტი ჩვენთან თითქმის გამორიცხულია".

ანუ ყველაფერს ჩემპიონთა ლიგაზე მიღწეული შედეგი გადაწყვეტს. ესპანური მედიის ვერსიით, კატალონიელთა მთავარი მიზანი 2008-ში სწორედ ლიგაში გამარჯვება იქნება. ბარსელონაში მიაჩნიათ, რომ მერვედფინალში „სელტიკის" ბარიერის გადალახვა ძნელი არ იქნება, მერე კი ფინალამდე სულ ოთხი მატჩი რჩება და არავინ იცის, კითხვისნიშნიანი რაიკარდის მოწაფეებმა სრულიად ევროპას რა შეიძლება შესთავაზონ.

თუმცა ეს მედლის ერთი მხარეა. მეორეზე კი ერნესტო ვალვერდეს ბასკურ პროფილს ვხედავთ — რაც დრო გადის, „ესპანიოლის" თავკაცი საბარსელონო ქულებს უფრო და უფრო აგროვებს. ვალვერდე ახალგაზრდა ესპანელ მწვრთნელებს შორის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სპეციალისტია. იგი ადრე „ბილბაოს" მოძღვრავდა, ბასკეთში თავი არ შეურცხვენია და „სან მამესის" გუნდი უეფას თასზეც ათამაშა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ ვალვერდემ „ესპანიოლი" ჩაიბარა, 2007-ში უეფას თასის ფინალში გაიყვანა და იქ ბრწყინვალე „სევილიასთან" ოდენ პენალტების სერიაში წააგო.

დღეს ერნესტო ვალვერდეს „ესპანიოლი" პრიმერადივიზიონში მესამე ადგილზეა, კლუბის ისტორიაში საშობაო არდადეგების პერიოდში საჩემპიონთალიგო ოთხეულში პირველად მოხვდა და მეორე ადგილზე მყოფ „ბარსას" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. გასათვალისწინებელი ისიცაა, ბასკს თავდებად ვინ უდგას — თვით იოჰან კრუიფი, „ბარსელონას" „გურუ" და ვალვერდეს ყოფილი მწვრთნელი. დიდი იოჰანი ექსბარსელ ერნესტოს მედიასთანაც სულ აქებს და, როგორც ამბობენ, პრეზიდენტ ლაპორტასაც პირადი შეხვედრებისას „ესპანიოლიდან" საჭირო კაცის წამოყვანის აუცილებლობაზე ესაუბრება.

ბასკ დამრიგებელს „ესპანიოლთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს, მარკო ვან ბასტენი კი ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დატოვებს. სპეციალისტთა აზრით, „ბარსას" მწვრთნელობაზე მთავარი ჯახი ვალვერდესა და ვან ბასტენს შორის მოხდება.

და ძველჩაუქი კაპიტანი გვარდიოლა? „ასი" გვეუბნება (და ძნელია, ამაში არ დაეთანხმო), რომ „ბარსას" დირექტორატშიც და უბრალო ინჩასთა შორის პეპს მხარდამჭერთა მძლავრი არმია ჰყავს. ძნელია, ისეთი კაცი მოძებნო ამქვეყნად, რომ გული გვარდიოლასავით ბარსელონურად უტოკავდეს. თუმცა ამხელა გუნდისთვის მწვრთნელის შერჩევაც ურთულესი ამბავია.

**ლადო ხომერიკი**

# ბოდიში, მე არ ვარ მონადირე

**რიკარდუ კარვალიუმ** მთელი საფეხბურთო სამყაროს გასაგონად მოიხადა ბოდიში. მიზეზი „ასტონ ვილას" ვარსკვლავის, გაბრიელ აგბონლაჰორის წინააღმდეგ საშინელი უხეშობა გახლავთ. „ჩელსის" 29 წლის მცველს სადისციპლინო კომიტეტში სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

„გაბრიელის დაშავება ერთი წამითაც არ მდომებია. ბურთის მოსაგებად წავედი. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ფეხბურთელებზე მონადირეებს განვეკუთვნები. მატჩის შემდეგ ძალიან მინდოდა მისთვის პირადად მომეხადა ბოდიში, მაგრამ არ მოხერხდა, ამიტომ ჩემს სათქმელს ხმამაღლა ვამბობ და ვიმედოვნებ, რომ ჩემი ხმა აგბონლაჰორის ყურს მიწვდება".

ინციდენტი, რომელზეც ვსაუბრობთ, ლონდონელთა და ბირმინგემელთა გუშინწინდელ მატჩში მოხდა. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი 4:4 დასრულდა. მსაჯმა პორტუგალიელი მცველი მოედნიდან დაუყოვნებლივ გააძევა.

ამ გაძევებამ „ჩელსიში" ერთგვარი კრიზისი გამოიწვია. „ლურჯებს" შაბათს „ნიუკასლთან" აქვთ თამაში და კარვალიუს გარდა არ ეყოლებათ მარცხენა მცველი ეშლი კოული და კაპიტანი ჯონ ტერი. ტერი დაშავებულია, კოული კი ხელით თამაშისთვის „ასტონ ვილასთან" ხსენებულ მატჩშივე გააძევეს მოედნიდან.

„ეშლის ბურთისთვის ხელი არ მიუკარებია. მან თავით ითამაშა, მსაჯმა კი პენალტი დანიშნა" — თქვა „ჩელსის" თავკაცმა ავრაამ გრანტმა, რომლის მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ გარკვეული არც ფრენკ ლამპარდის საქმეა. ლამპარდმა ბარძაყი იტკინა და რენტგენის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ გაარკვევს, ითამაშებს თუ არა შაბათის შეხვედრაში.

**პაპუნა კედია**



## იყო რუსო, არის იშია

**„ბოკა ხუნიორსის"** მწვრთნელი მიგელ ანხელ რუსო მოხსნეს და მის ნაცვლად კარლოს იშია დანიშნეს. იგი ორი თვის წინ „როსარიო სენტრალიდან" გაუშვეს ცუდი შედეგების გამო. „სიხარული სახეზე მაწერია — თქვა ახალდანიშნულმა — ეს შემოთავაზება მოულოდნელი იყო, მაგრამ უმალ დავთანხმდი". კარლოს იშია სეხნია ბიანკის თანაშემწედ „ბოკა ხუნიორსში" 1988-2002 წლებში მუშაობდა. გარდა ამისა, წვრთნიდა „ველეს სარსფილდს", „ხიმნასია ლა პლატას", და კოლუმბიურ „ატლეტიკო ხუნიორსს". მიგელ ანხელ რუსოს თავკაცობით, „ბოკა ხუნიორსმა" წლეულს ლიბერტადორესის თასი მოიგო, არგენტინის ჩემპიონი კი ვერ გახდა. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში „ბოკა" „მილანთან" 2:4 დამარცხდა.

## ჟორჟე ირანში

**ირანის** ნაკრები პორტუგალიელ არტურ ჟორჟეს ჩააბარეს. კონტრაქტი უკვე მზადაა და ახალი მწვრთნელი ქაღალდზე ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს. ირანელებს ამირ გალენოი თავკაცობდა, მაგრამ აზიის თასზე ჩავარდნის გამო დაითხოვეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელობა ვინფრიდ შეფერს, პიტერ რიდს და ფილიპ ტრუსიეს შესთავაზა, თუმც სამივესგან უარი მიიღო. არტურ ჟორჟე ბოლოს კამერუნის ნაკრებში მუშაობდა, მაგრამ გუნდი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა და გაათავისუფლეს.

## ჰაანმა ბარიჩი შეცვალა

**59 წლის** არი ჰაანი ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი გახდა. ჰოლანდიელი ორწლიან კონტრაქტს იანვრის დასაწყისში გააფორმებს. ალბანელებს ევრო 2008-ის შესარჩევში ოტო ბარიჩი თავკაცობდა, მაგრამ ხელი ვერ დაატყო და ციკლის დასრულებისთანავე, ნოემბერში თავისი ნებით წავიდა. არი ჰაანს სამწვრთნელო კარიერაში „ანტვერპენში", „ანდერლეხტში", „შტუტგარტში", „ნიურნბერგში", „სტანდარდში", პაოკ-ში, „ფეიენოორდში" „ომონიაში", „აუსტრიაში", ჩინეთისა და კამერუნის ნაკრებებში უმუშავია.

**გაგა ხუციშვილი**

# ბენზემას მილანი უნდა

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „ლიონის" ახალგაზრდა ფორვარდის ქარიმ ბენზემას აგენტ კლაუდიო პასკუალინის თქმით, მისი კლიენტი იტალიური „მილანისთვის" ჩინებული ვარიანტი იქნებოდა.

20 წლის ბენზემა ამჟამად ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ძვირადღირებული ახალგაზრდა ფეხბურთელია. ფორვარდი, რომელსაც ხშირად ადარებენ დავიდ ტრეზეგეს, მშვენივრად თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში, ჩემპიონთა ლიგასა და ნაკრებში.

„ძნელია, „მილანის" დარი ძლიერი გუნდის გადახალისებაზე ილაპარაკო, თუმცა ბენზემას კარლო ანჩელოტის გუნდის გაძლიერება ნამდვილად შეუძლია" — თქვა პასკუალინიმ.




„როსონერის" რიგებში ახალი წლიდან ალეშანდრე პატო ათამაშდება და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი კი ირწმუნება, იანვარში დავიმატებთო, მაგრამ რონალდოს მოუშუშებელ ტრავმას და თავდასხმაში მილანელების პრობლემებს თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, „მილანი" „იუვენტუსთან", „არსენალთან" და „რეალთან" ერთად ბენზემასთვის ბრძოლაში ჩაერთოს.

**კოკი კანდელაკი**

# იტალია. სერია A. 2007–2008 სტატისტიკა საახალწლოდ



დავიდ ტრეზეგე



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



მარსელო ზალაიეტა



ალბერტო ფონტანა



მასიმო მაკარონე

## მეგოლე

| ფეხბურთელი | გუნდი | გოლი |
|---|---|---|
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | 13 |
| ხულიო რიკარდო კრუზი | ინტერი | 10 |
| ადრიან მუტუ | ფიორენტინა | 9 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | 9 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 9 |
| მარკო ბორიელო | ჯენოა | 8 |
| კლაუდიო ბელუჩი | სამპდორია | 8 |
| რიკარდო კაკა | მილანი | 7 |
| კრისტიანო დონი | ატალანტა | 7 |
| მარსელო ზალაიეტა | ნაპოლი | 7 |
| კარვალიო ამაური | პალერმო | 7 |
| ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | 7 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 7 |
| გორან პანდევი | ლაციო | 7 |

## გამარჯვების გოლი

| ფეხბურთელი | გუნდი | გოლი |
|---|---|---|
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 4 |
| მარსელო ზალაიეტა | ნაპოლი | 4 |
| ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | 3 |
| ხულიო რიკარდო კრუზი | ინტერი | 3 |
| მარკო ბორიელო | ჯენოა | 3 |
| ადრიან მუტუ | ფიორენტინა | 3 |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | 3 |
| ფაბრიციო მიკოლი | პალერმო | 3 |

## საგოლე პასი

| ფეხბურთელი | გუნდი | პასი |
|---|---|---|
| ეზეკიელ ლავეცი | ნაპოლი | 6 |
| დავიდ პიზარო | რომა | 6 |
| მირკო ვუჩინიჩი | რომა | 5 |
| ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | 5 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 5 |
| ლუიშ ფიგუ | ინტერი | 5 |
| ფრანსელინო რეჯინალდო | პარმა | 4 |
| ადრიან მუტუ | ფიორენტინა | 4 |
| კარვალიო ამაური | პალერმო | 4 |
| მარიო სანტანა | ფიორენტინა | 4 |
| კრისტიან მაჯო | სამპდორია | 4 |

## კარში დარტყმა

| ფეხბურთელი | გუნდი | დარტყმა |
|---|---|---|
| მარკო ბორიელო | ჯენოა | 27 |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | 26 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 26 |
| ტომაზო როკი | ლაციო | 25 |
| მირკო ვუჩინიჩი | რომა | 21 |
| ფაბიო კვალიარელა | უდინეზე | 21 |
| ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | 21 |
| მასიმო მაკარონე | სიენა | 20 |
| ადრიან მუტუ | ფიორენტინა | 20 |
| პასკუალე ფოჯა | კალიარი | 20 |

## გატანილი პენალტები

| ფეხბურთელი | გუნდი | პენალტი |
|---|---|---|
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 4 |
| რიკარდო კაკა | მილანი | 4 |
| პასკუალე ფოჯა | კალიარი | 4 |
| ადრიან მუტუ | ფიორენტინა | 3 |
| კრისტიანო დონი | ატალანტა | 3 |
| მაურიციო დომიცი | ნაპოლი | 3 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | 2 |
| ფრანჩესკო ტავანო | ლივორნო | 2 |
| მარკო ბორიელო | ჯენოა | 2 |

## გაცუდებული პენალტები

| ფეხბურთელი | გუნდი | პენალტი |
|---|---|---|
| მასიმო მაკარონე | სიენა | 3 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 1 |
| ენრიკო კალაიო | ნაპოლი | 1 |
| რიკარდო ძამპანა | ატალანტა | 1 |
| კარვალიო ამაური | პალერმო | 1 |
| კრისტიანო დონი | ატალანტა | 1 |
| დანიელე დე როსი | რომა | 1 |
| ომარ მილანეტო | ჯენოა | 1 |
| რიკარდო კაკა | მილანი | 1 |
| პაოლო კასტელინი | პარმა | 1 |
| მაურიციო დომიცი | ნაპოლი | 1 |

## მეკარეების აღებული ბურთები

| ფეხბურთელი | გუნდი | ბურთი |
|---|---|---|
| ალბერტო ფონტანა | პალერმო | 71 |
| მატეო სერენი | ტორინო | 56 |
| დანიელე ბალი | ემპოლი | 54 |
| ალეშანდრე დონი | რომა | 53 |
| მარკო ამელია | ლივორნო | 53 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | 53 |
| კარლო პოლიტო | კატანია | 52 |
| ანდრეა კამპანოლო | რეჯინა | 50 |
| სებასტიან ფრეი | ფიორენტინა | 50 |
| მარკო ფორტინი | კალიარი | 44 |

## მეკარეების აღებული პენალტები

| ფეხბურთელი | გუნდი | პენალტი |
|---|---|---|
| მატეო სერენი | ტორინო | 3 |
| მარკო ფორტინი | კალიარი | 2 |
| ანდრეა კამპანოლო | რეჯინა | 1 |
| კარლო პოლიტო | კატანია | 1 |

## მეკარეების მშრალი მატჩები

| ფეხბურთელი | გუნდი | მატჩი |
|---|---|---|
| ალეშანდრე დონი | რომა | 9 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | 8 |
| სებასტიან ფრეი | ფიორენტინა | 7 |
| ჟულიო სეზარი | ინტერი | 7 |
| სამირ ჰანდაროვიჩი | უდინეზე | 6 |
| ნელსონ დიდა | მილანი | 5 |
| ანტონიო მირანტე | სამპდორია | 5 |
| მარკო რუბინიო | ჯენოა | 5 |
| მატეო სერენი | ტორინო | 5 |

## მასზე დაჯარიმდნენ

| ფეხბურთელი | გუნდი | ჯარიმა |
|---|---|---|
| იგლი ვანუკი | ემპოლი | 70 |
| პასკუალე ფოჯა | კალიარი | 67 |
| ეზეკიელ ლავეცი | ნაპოლი | 64 |
| კარვალიო ამაური | პალერმო | 55 |
| დავიდე ბაიოკო | კატანია | 55 |
| ჯანკარლო პაცინი | ფიორენტინა | 49 |
| ანდრეა პალომბო | სამპდორია | 47 |
| ალესანდრო მატრი | კალიარი | 44 |
| ლუკა ვიჯანი | რეჯინა | 44 |
| სტეფანო მორონე | პარმა | 44 |
| კრისტიანო დონი | ატალანტა | 44 |
| რიკარდო კაკა | მილანი | 44 |

## მოპოვებული კუთხური

| ფეხბურთელი | გუნდი | კუთხური |
|---|---|---|
| ეზეკიელ ლავეცი | ნაპოლი | 21 |
| ხორხე ლეონი | ჯენოა | 21 |
| პასკუალე ფოჯა | კალიარი | 20 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 19 |
| მარკო ბორიელო | ჯენოა | 19 |
| ამანტინო მანსინი | რომა | 19 |
| ადრიან მუტუ | ფიორენტინა | 18 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | ინტერი | 18 |
| ფრანსელინო რეჯინალდო | პარმა | 17 |
| ჯუზეპე მასკარა | კატანია | 17 |
| მარტინ ჰამსიკი | ნაპოლი | 17 |

## ფლანგიდან ზუსტი ჩაწოდება

| ფეხბურთელი | გუნდი | ჩააწოდა |
|---|---|---|
| კრისტიან ლედესმა | ლაციო | 36 |
| მარტინ ჰამსიკი | ნაპოლი | 31 |
| პასკუალე ფოჯა | კალიარი | 30 |
| დანიელე გალოპა | სიენა | 30 |
| ფაუსტო ტისონე | ატალანტა | 28 |
| ფრანკო სემიოლი | ფიორენტინა | 26 |
| ხორხე ვარგასი | კატანია | 24 |
| ჯუზეპე მასკარა | კატანია | 23 |
| ჯანკარლო მესტო | უდინეზე | 23 |
| ფრანჩესკო მოდესტო | რეჯინა | 23 |
| ხორხე ლეონი | ჯენოა | 22 |
| ჯოვანი პასკუალე | ლივორნო | 22 |

# ასეც ხდება

**მართალია, საფეხბურთო კურიოზების ამ „ექსპოზიციის“ ზოგიერთი „ექსპონატი“ მავანი მხიარული დიზაინერის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ მკითხველის ღიმილის გამოსაწვევად ესეც საკმარისია.**














# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

**ინგლისი. პრემიერლიგა**

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 43 | უიგანი-ასტონ ვილა | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 19:00 | 44 | ბირმინგემი-ფულემი | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 19:00 | 45 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 21:15 | 47 | ევერტონი-არსენალი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 49 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 19:00 | 50 | სანდერლენდი-ბოლტონი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 19:00 | 51 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 19:00 | 52 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 5.70 | 3.50 | 1.55 | 2.16 | 1.21 | 1.07 |

**30 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 46 | დერბი-ბლექბერნი | 3.70 | 3.30 | 1.90 | 1.74 | 1.25 | 1.20 |
| 20:00 | 48 | სიტი-ლივერპული | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 85 | პრესტონი-კარდიფი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 16:45 | 86 | შეფილდი-კრისტალ პალასი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 87 | უოტფორდი-ქპრ | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 19:00 | 88 | ბარნსლი-საუთჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 89 | ვესტ ბრომვიჩი-სკანთორპი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:00 | 90 | ბარნლი-ბრისტოლი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 91 | კოლჩესტერი-ბლეკპული | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 21:20 | 92 | ქოვენთრი-იფსვიჩი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 94 | ლესტერი-ჩარლტონი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 95 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 19:00 | 96 | პლიმუთი-სტოკი | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |

**30 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 93 | ჰალი-უენსდი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |

**ინგლისი. I ლიგა**

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 133 | პორტ ვეილი-ლუტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 134 | სუონსი-ლიდსი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 135 | ტრანმერი-ჩელტენემი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 19:00 | 136 | ბორნმუთი-სუინდონი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 19:00 | 137 | იოვილი-ბრაიტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 138 | როვერსი-კარლაილი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 19:00 | 139 | დონკასტერი-საუთენდი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 19:00 | 140 | ჯილინგემი-ნოტინგემი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 141 | ჰარტლპული-ლეიტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 142 | ჰადერსფილდი-ნორთჰემპტონი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
